საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №82
2020 წლის 25 მარტი

ქ. თბილისი

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართი №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. ბიუჯეტის განმკარგველის - 0975 – ა(ა)იპ „მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“-ს შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველი:

64	0976	ა(ა)იპ „ბიზნეს კვლევების სახლი“

2. ამოღებულ იქნას შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველები:

860	4500	ა(ა)იპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება
861	4501	ა(ა)იპ – წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ცენტრი

3. ბიუჯეტის განმკარგველის - 5125 – ა(ა)იპ „ბათუმის მუნიციპალური ინსპექცია“-ს შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის ბიუჯეტის განმკარგველები:

1486	5126	ა(ა)იპ „გურჯაანის სამხატვრო სკოლა“
1487	5127	ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება“

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.